საქართველოს მოსამართლეთა XX რიგგარეშე კონფერენცია

8 აპრილი, 2017 წელი

მართლმსაჯულების სახლი

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №19)

დღის წესრიგი

11:00 - 12:00 სთ. - რეგისტრაცია

1. 12:00 - 12:05 სთ.

კონფერენციის გახსნა და ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის ლევან თევზაძის მიერ მოსამართლეთა ინფორმირება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების (პაატა სილაგაძე, ილონა თოდუა) და ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის (თეა ძიმისტარაშვილი) უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

2. 12:05-12:35 სთ.

„მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის“ პროექტის პრეზენტაცია - საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე - ქ-ნი ნინო გვენეტაძე.

3. 12:35 - 13:00 სთ.

„მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ პროექტის დამტკიცება *(ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით).*

4. 13:00 – 13:10 სთ.

კანდიდატების დასახელება *(საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ 2 (ორი) წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე, რომლებსაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლება აქვს საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, კანდიდატად დასახელებულ უნდა იქნენ ის მოსამართლეები, რომლებსაც უკავიათ ასეთი თანამდებობები)*

5. 13:10 - 13:30 სთ.

ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით *(ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით).*

6. 13:30 - 15:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 (ორი) მოსამართლე წევრისა და ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა, I ტური - (*ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით).*

7. 15:00 - 15:30 სთ. - სადილი.

8. 15:30 - 17:00 სთ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 (ორი) მოსამართლე წევრისა და ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა, II ტური - (*საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები)*

შენიშვნა: თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ 2 (ორი) წევრის თანამდებობაზე, რომლებსაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, უფლება აქვს საბჭოს წევრის თანამდებობასთან ერთად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა, არ იქნა დასახელებული კანდიდატად, ან თუ კენჭისყრის შედეგად საჭირო რაოდენობის ხმები ვერ მიიღო რომელიმე კანდიდატმა, ვაკანტურ თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს მოსამართლე, რომელსაც არ უკავია ასეთი თანამდებობა. შესაბამისად, ტარდება განმეორებითი არჩევნები: I ტური - ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. II ტური - საჭიროების შემთხვევაში, ფარული კენჭისყრით, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები.